ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №112

2015 წლის 8 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და შეფასების** თანდართული წესი (დანართი 1) .
2. დადგენილება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი

გურამ ჩაგანავა

## აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბსუ“) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში „პროგრამა“) განხორციელებისა და შეფასების პროცედურებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობს დარგის აკადემიური პერსონალი. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტების, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს ბსუ–ს აკადემიური საბჭო.

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი(მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).

### მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულისათვის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, განათლების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გათვალისწინებული იყოს 60 კრედიტზე.

3. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მოცულობაა 360 კრედიტი, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შესაბამისი ფაკულტეტი, უმაღლესი განათლების საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად), პროგრამის მოცულობა კრედიტებით, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელების ვადა, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.

5. „ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა) სწავლების ენა - სწავლებისენაარის ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;

ბ)პროგრამის მიზანი - უნდა აღიწეროს პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე. დასაბუთდეს პროგრამის აქტუალობა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები კურსდამთავრებულის მიმართ;

გ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - უნდა მიეთითოს, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად;

დ) სწავლის შედეგები - სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები)და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერებაზოგადი (ტრანსფერული)და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

ე) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ შედეგთან თავსებადი სწავლებისა და სწავლის მეთოდები;

ვ) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და მოცემული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების მეთოდების სხვადასხვა კომბინაციას, დეტალური ინფორმაცია მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების მეთოდებზე უნდა აღიწეროს კონკრეტული კურსის სილაბუსში);

ზ)საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - საგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოგეგმა**(დანართი 1)** მოიცავსყველაკომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. კომპონენტისმითითებისასაღინიშნება: ა.)სახელწოდება; ბ)მოცულობაკრედიტებით; გ)სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში). სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავსპროგრამის ყველაკომპონენტსდა მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან **(დანართი 2);**

თ) პირველი საფეხურის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა განისაზღვროს შუალედური კვალიფიკაციის მოპოვების პირობა, უნდა მიეთითოს შუალედური კვალიფიკაციის მოპოვებისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები/მოდულები. შუალედური კვალიფიკაციის მოპოვებისთვის განსაზღვრული პროგრამის მოცულობა არ შეიძლება იყოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

ი) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის) დეტალური აღწერა;

კ) პროგრამას უნდა დაერთოს: სასწავლო კურსების სილაბუსები;ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ; ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ; პროგრამის დამტკიცების აქტი.

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში (გარდა რეგულირებადი პროგრამისა) ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის საერთო მოცულობიდან 10 კრედიტი უნდა დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომს ან არჩევით მოდულს სპეციალობაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით, სპეციალობის სასწავლო კურსები ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ან კიდევ თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსი იმავე მოცულობით ნებისმიერი კურიკულუმიდან. საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს არჩევით კურსებს და სტუდენტს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა მოახდინოს ძირითადი და დამატებითი/არჩევითი კურსების კომბინირება, შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტების (არჩევითი კურსების) კონცენტრაცია/ ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და არჩევითი კურსების კონცენტრა-

ცია.

7. დამატებითი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და გამიზნულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განსავითარებლად.

8. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის და ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% უნდა დაეთმოს რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

9. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს და იგი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 25%-ს.

10. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია ასახოს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის. სილაბუსი განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის და კურიკულუმის კომიტეტის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

11. რეკომენდებულია სილაბუსი შესრულდეს ამ წესის მოცემული ფორმატით**(დანართი 3)** და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება/ სასწავლო კურსის კოდი;

ბ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;

გ) ავტორი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

დ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;

ე) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

ვ) სასწავლო კურსის ფორმატი;

ზ) დაშვების წინაპირობები;

თ) სწავლის შედეგები;

ი) სასწავლო კურსის შინაარსი;

კ) სწავლების/სწავლის მეთოდები;

ლ) შეფასების კრიტერიუმები;

მ) ძირითადი ლიტერატურა;

ნ) დამხმარე ლიტერატურა;

12. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში პროფესორი/მასწავლებელი ვალდებულია სტუდენტს სასწავლო მასალა მიაწოდოს ელექტრონული ფორმით;

**მუხლი 3. ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური შეფასების პროცედურა**

1. ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიურ შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამები შეფასებისათვის შეიძლება გადაეცეს:

ა) ბსუ-დან/და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტებისშესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორებს, მკვლევარებს, ექსპერტებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

ბ) ბსუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტს, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც ითვალისწინებს ამ სახის თანამშრომლობას.

3. შეფასების დასრულების შემდეგ, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების საფუძველზე, ფაკულტეტის და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა შეიმუშავონ სათანადო რეკომენდაციები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომლებსაც წარუდგენენ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს.თითოეული შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობა უნდა დასაბუთდეს სათანადო არგუმენტებით.

4. ფაკულტეტისა და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად გადასცემას ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის კონფიდენციალური ექსპერტიზა.

5. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა ელექტრონული ფორმით აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტირებულად ჩათვლის შემდეგ ცხადდება პროგრამაზე მიღება.

6. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

## ახალი სასწავლო გეგმა

| N | კომპონენტები | კრედიტებისრაოდენობა | | მათშორის | | | | | | | | კრედიტების განაწილებასემესტრების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საათების რაოდენობა | ლექცია | ლაბორატ. | პრაქტიკული/ლაბორატორიული | ჯგუფში მუშაობა | პრაქტიკა | შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | დამოუკ.სამუშ. | I სემ. | II სემ. | III სემ. | IV სემ. | V სემ. | VI სემ. | VII სემ. | VIII სემ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | **სპეციალობის სავალდებულო კურსები** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 19 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 22 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 23 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 24 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 25 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 26 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 27 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 28 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 29 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 30 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 31 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 32 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 33 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 34 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 35 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | **სპეციალობის არჩევითი კურსები** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საბაკალავრო ნაშრომი//ან | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | დამატებითი სპეციალობა(Minor) / მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები ნებისმიერი კურიკულუმიდან/ სპეციალობის არჩევითი ბლოკი | 60 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## სპეციალობის არჩევითი ბლოკი

| № | მოდულის/სასწავლოკურსისდასახვა ახისსამუშაოსდასახელება (პრაქტიკა, საბაკალავრონაშრომიანსხვა) | კრედიტებისრაოდენობა | საათების რაოდენობა | მათშორის | | | | | | | სემესტრი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ლექცია | ლაბორატ. | პრაქტიკული | ჯგუფ. მუშაობა | ზეპალ.შეფასება | გამოცდა | დამოუკ. მუშაობა | V სემსტ | VI სემსტ | VII სემსტ | VIII სემსტ |
| | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | | | | | | |
| | სულ | 90 | | | | | | | | | | | | |

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

საგანმანათლებლო
პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი:

## სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2)

| | კომპონენტები | კრედიტების რაოდენობა | კომპეტენციები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ზოგადი | | | | | | დარგობრივი | | | | | |
| | | | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტ. გამოყ. უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტ. გამოყ. უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | | | | | | |

## სილაბუსის ფორმა (დანართი 3)

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსისსახელწოდება | |
| კოდი | |
| სასწავლო კურსისსტატუსი | |
| ავტორ(ებ)ი | |
| სასწავლო კურსის მიზანები | |
| კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად | |
| ფორმატი | |
| დაშვების წინაპირობები | |
| შინაარსი და ლიტერატურა | იხილეთ დანართი 1 |
| სწავლების/სწავლის მეთოდები | |

შეფასების კრიტერიუმები

მიმდინარე შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

| შეფასების კომპონენტი | რაოდენობა | მაქსიმალური ქულა | შეფასების კრიტერიუმები | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სწავლის შედეგები | კრიტერიუმები | ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
| | ცოდნა და გაცნობიერება | | |
| | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | | |
| | დასკვნის უნარი | | |
| | კომუნიკაციის უნარი | | |
| | სწავლის უნარი | | |
| | ღირებულებები | | |

დანართი 3

**(შევიდა ცვლილება აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N62 დადგენილებით)**

(სილაბუსის ფორმა) დამტკიცდეს შემდეგი სახით:

| | |
|---|---|
| **სასწავლოკურსის სახელწოდება** | |
| **კოდი** | |
| **სასწავლოკურსის სსტატუსი** | |
| **ავტორ(ებ)ი** | |
| **სასწავლოკურსის სმიზანი** | |
| **კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად** | |
| **სასწავლო კურსის ფორმატი** | |
| **დაშვების წინაპირობები** | |
| **შინაარსი** | |
| **სწავლება-სწავლის მეთოდი და შესაბამისი აქტივობები** | |
| | სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს:<br><br>1.1. შუალედური შეფასება - ____ ქულა:<br>1.1.1. შუალედური გამოცდა - 20 ქულა;<br>1.1.2. მიმდინარე შეფასებები - ____ ქულა:<br>1.1.2.1. წერითი გამოკითვები - ____ ქულა;<br>1.1.2.2. ზეპირი გამოკითვები - ____ ქულა;<br>1.1.2.3. შეფასების სხვა სახის მეთოდი - ____ ქულა;<br>1.1.3. შეფასების სხვა სახის კომპონენტი - ____ ქულა; |

| | |
|---|---|
| **ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები** | დასკვნითი გამოცდა - ___ ქულა |

| შეფასების კომპონენტები და მეთოდები | რაოდ ენობა | შეფასე ბა | ქულა თა ჯამი | შეფასების დრო | შეფასების კრიტერიუმები |
|---|---|---|---|---|---|
| **1. მიმდინარე შეფასებები** | | | **X ქულა** | | |
| **1.1. წერითი გამოკითხვები** | | | **X ქულა** | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| **1.2. ზეპირი გამოკითხვები** | | | **X ქულა** | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| **1.3. შეფასების სხვა სახის მეთოდი** | | | **X ქულა** | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| **2. შეფასების სხვა სახის კომპონენტს** | | | **X ქულა** | | |
| **3. შუალედური გამოცდა** | | | | | |
| **4. დასკვნითი გამოცდა** | | | | | |
| სულ: | | | 100 ქულა | | |

**დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:**

- სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
- შუალედურიშეფასებისმინიმალურიკომპეტენციისზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითიგამოცდისმინიმალურიკომპეტენციისზღვარი 20 ქულა;

**სტუდენტის საბოლოო შეფასება:**

- სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.
- უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში

| | |
|---|---|
| | სტუდენტს უფლება ეძლევა  დამატებით გამოცდაზე  ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს  საგანი თავიდან აქვს შესასწავლი |
| სწავლის შედეგები | |
| ძირითადი ლიტერატურა | |
| დამხმარე ლიტერატურა | |